

**ფაქტობრივი გარემოებები**

საწარმო „A“-მ 2014 წელს შეიძინა საქონელი (100 ერთეული) 70 ლარად (დღგ-ის ჩათვლით), რომელიც იმავე წელს სრულად მიაწოდა საწარმო „B“-ს 100 ლარად (დღგ-ის ჩათვლით), შემდგომი გადახდის პირობით. აღნიშნული ოპერაცია გადასახადის გადამხდელმა დაბეგრა დღგ-ით. წარდგენილია დღგ-ის და მოგების გადასახადის დეკლარაცია.

**I ვარიანტი**

2015 წლის აპრილში ბაზარზე ფასების შემცირების მიზეზით, შემცირდა ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა და იგი განისაზღვრა 100 ლარის ნაცვალად 90 ლარით.

**II ვარიანტი**

2015 წლის აპრილში საწარმო „A“-ს დაუბრუნდა მიწოდებული საქონლის ნაწილი (დაზიანებული, 20 ერთეული). ხელშეკრულების პირობების თანახმად, დაბრუნებულ საქონელზე საწარმო „A“-ს ჯარიმის სახით დაეკისრა და გადაიხადა 0,5 ლარი თითოეულ ერთეულზე.

**I ვარიანტი:**

საწარმო „A“-მ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერა 2015 წლის აპრილის თვეში და კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ-ის თანხა  $(10 - (10/1,18) = 1,53)$  ასახა აპრილის თვის დეკლარაციაში. ამასთან, 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი შეამცირა კორექტირების თანხით (დღგ-ის გარეშე)  $(10/1,18 = 8,47)$ .

**II ვარიანტი:**

საწარმო „A“-მ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერა 2015 წლის აპრილის თვეში და კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ-ის თანხა  $(20 - (20/1,18) = 3,06)$  ასახა აპრილის თვის დეკლარაციაში. პირმა 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი შეამცირა კორექტირების თანხით (დღგ-ის გარეშე)  $(20/1,18 = 16,94)$  და ჯარიმის თანხით - 10 ლარით  $(20 \cdot 0,5)$ . ამასთან, 2015 წელს დაბრუნებული საქონელი (20 ერთეული) ასახა საბოლოო მარაგებში, 2014 წელს შეძენილი ღირებულების მიხედვით (დღგ-ის გარეშე)  $(20 \cdot 0,7 = 14; 14/1,18 = 11,86)$  - 11,86 ლარად.

**შეფასება**

სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება:

გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ კორექტირების გამოწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამოწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

ამდენად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება უნდა განხორციელდეს 2015 წლის აპრილის თვეში.

სსკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება, რამდენადაც მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენისას გადასახადის გადამხდელს არ დაუშვია შეცდომა და ცვლილების (კორექტირების) გამოწვევი გარემოება დადგა დეკლარაციის წარდგენის შემდგომ.

**ლონისძიებები**

**ორივე ვარიანტში:**

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა არ მოხდება.

➤ ფაქტობრივი გარემოებებში იგულისხმება, რომ ადგილი არ აქვს ხელშეკრულების მოშლის ან ბათილად ცნობის ფაქტს  
 ➤ წლები პირობითია  
 ➤ II ვარიანტში იგულისხმება, რომ 2015 წელს დაბრუნებული საქონელი ამ წელს არ გაყიდულა  
 ➤ აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო ასევე ეხება ფიზიკურ პირებს, რომლებიც იყენებენ დარიცხვის მეთოდს

**ანოტაცია**  
**„ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა“ №2527**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საწარმო „A“-მ 2014 წელს შეიძინა საქონელი (100 ერთეული) 70 ლარად, რომელიც იმავე წელს სრულად მიაწოდა საწარმო „B“-ს 100 ლარად, შემდგომი გადახდის პირობით. აღნიშნული ოპერაცია გადასახადის გადამხდელმა დაბეგრა დღგ-ით. წარდგენილია დღგ-ის და მოგების გადასახადის დეკლარაცია.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში 2015 წლის აპრილში, ბაზარზე ფასების შემცირების მოტივით, შემცირდა ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა და იგი განისაზღვრა 100 ლარის ნაცვალად 90 ლარით. საწარმო „A“-მ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერა 2015 წლის აპრილის თვეში და კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ-ის თანხა ასახა აპრილის თვის დეკლარაციაში. ამასთან, 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი შეამცირა კორექტირების თანხით (დღგ-ის გარეშე).

ხოლო სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ მეორე შემთხვევაში 2015 წლის აპრილში საწარმო „A“-ს დაუბრუნდა მიწოდებული საქონლის ნაწილი (დაზიანებული, 20 ერთეული). ხელშეკრულების პირობების თანახმად, დაბრუნებულ საქონელზე საწარმო „A“-ს დაეკისრა ჯარიმის სახით 0,5 ლარი თითოეულ ერთეულზე. საწარმო „A“-მ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერა 2015 წლის აპრილის თვეში და კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ-ის თანხა  $(20 - (20/1,18) = 3,06)$  ასახა აპრილის თვის დეკლარაციაში. პირმა 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი შეამცირა კორექტირების თანხით (დღგ-ის გარეშე)  $(20/1,18 = 16,94)$  და ჯარიმის თანხით - 10 ლარით  $(20 * 0,5)$ . ამასთან, 2015 წელს დაბრუნებული საქონელი (20 ერთეული) ასახა საბოლოო მარაგებში, 2014 წელს შექმნილი ღირებულების მიხედვით (დღგ-ის გარეშე)  $(20 * 0,7 = 14; 14/1,18 = 11,86)$  - 11,86 ლარად.

სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

ამდენად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება უნდა განხორციელდეს 2015 წლის აპრილის თვეში.

სსკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება, რამდენადაც მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენისას გადასახადის გადამხდელს არ დაუშვია შეცდომა და ცვლილების (კორექტირების) გამომწვევი გარემოება დადგა დეკლარაციის წარდგენის შემდგომ.